ტესტი გეოგრაფიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

<u>გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.</u>

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

➢ *კითხვა არჩევითი პასუხებით*

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

➢ *ღია დავალება*

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (ტექსტი; ფოტო; ცხრილი; გრაფიკი; დიაგრამა; ფიზიკური, კონტურული, ტოპოგრაფიული რუკები და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(1) 1. რას ასახავს მოცემული რუკა?



ა) სეისმურად აქტიურ ზონებს;

ბ) მყინვარების ფართობის განაწილებას;

გ) ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილებს;

დ) ნახშირორჟანგის ემისიის ინტენსივობას.

(1) 2. რა არის დიაგრამაზე ასახული ტენდენციის მთავარი გამომწვევი მიზეზი?



ა) კლიმატის გლობალური ცვლილება;

ბ) სეისმური და ვულკანური აქტივობა;

გ) ელ-ნინიოს და ლა-ნინიას მოქმედება;

დ) ფილების ტექტონიკური მოძრაობა.

(1) 3. რომელი ინდექსის მიხედვით არის დაჯგუფებული სახელმწიფოები მოცემულ რუკაზე?



ა) ჰუმანური განვითარების;

ბ) ჯინის;

გ) გლობალიზაციის;

დ) ლიბერალური დემოკრატიის.

(1) 4. რომელი ფერით (რიცხვით) არის აღნიშნული რუკაზე პორტუგალიის კოლონიები?



ა) მწვანე (3);

ბ) ლურჯი (2);

გ) წითელი (1);

დ) ყვითელი (4).

(1) 5. საქართველოს შესახებ რის დინამიკას ასახავს მოცემული დიაგრამა?



ა) მიგრაციული სალდოს აბსოლუტური მონაცემის;

ბ) უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობის;

გ) მშპ ერთ სულ მოსახლეზე აშშ დოლარში;

დ) იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობის.

(1) 6. რომელი ფოტოა გადაღებული თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე?

ა)



ბ)



გ)

დ)

(1) 7. რომელი მყინვარი მდებარეობს მდინარე ენგურის აუზში?

ა) ადიში;
ბ) თბილისა;
გ) ბუბა;
დ) დევდარაკი.

(1) 8. ჩამოთვლილთაგან რომელ სახელმწიფოში მდებარეობს სქემაზე გამოსახული შენობა?



ა) საქართველოში;
ბ) ისრაელში;
გ) ახალ ზელანდიაში;
დ) კუბაში.

(1) 9. რომელი სახელმწიფოს ეროვნული დღესასწაულია 14 ივლისი?

ა) ჩინეთის;

ბ) ისრაელის;

გ) საფრანგეთის;

დ) აშშ-ს.

(1) 10. რომელი მტკიცებაა *<u>მცდარი</u>* ჰორიზონტთან მიმართებით?

ა) ჰორიზონტი დამკვირვებლის ხედვის არეში მოხვედრილი დედამიწის ზედაპირის ნაწილია;
ბ) ხედვის დიამეტრი მატულობს დამკვირვებლის ზღ.დ. სიმაღლეზე ასვლის შესაბამისად;
გ) ხედვის რადიუსი უფრო მეტია ოკეანის სანაპიროზე, ვიდრე ამავე ნაპირთან მდებარე მწვერვალიდან;
დ) მთის მდინარის ხეობაში ჰორიზონტი უფრო შეზღუდულია, ვიდრე ზღვის სანაპიროზე.

(1) 11. რას ასახავს მოცემული რუკები (ლეგენდაში მონიშნულია საქართველოს და იმავე დიაპაზონში მყოფი სახელმწიფოების მონაცემი, ხოლო რუკაზე საქართველოს და იმავე დიაპაზონში მყოფი ქვეყნის კონტურები)?







ა) უმუშევრობის დონეს;

ბ) განათლების დონეს;

გ) გენდერულ თანასწორობას;

დ) დემოკრატიის ხარისხს.

(1) 12. რომელია მართებული ინფორმაცია შავ ზღვასთან დაკავშირებით?

ა) ფაუნა უფრო მდიდარია თევზის სახეობათა მრავალფეროვნებით, ვიდრე ხმელთაშუა ზღვაში;

ბ) ზედაპირული წყლის მარილიანობის მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე ბალტიის ზღვაში;

გ) ზღვის აკვატორიაში წყალი არსად და არასდროს არ იყინება მისი სუბტროპიკული მდებარეობის გამო;

დ) ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის წყლის მიმოცვლის შემაფერხებელი ფაქტორია ბოსფორის სრუტის წყალქვეშა რელიეფი.

(1) 13. რა იზოხაზებია დატანილი მოცემულ რუკაზე?


ატმოსფერული ნალექების
რაოდენობა მილიმეტრებში
>40000
3000-4000
2000-3000
1600-2000
1200-1600
1000-1200
800-1000
600-800
400-600
<400
ჰაერის ტემპერატურა
ბოთლიხი
ბეჟითა
ახალგორი
დუშეთი
ფიცხალი
ახმეტა
ყვარელი
ლაგოდეხი
ბელაქანი
ზაქათალა
ალიაბადი
საბათლო
ალაბერდი
ალსთაფა
ოთეთრი წყარო
მარნეული
ბოლნისი
გარდაბანი
საგარეჯო
გურჯაანი
სიღნაღი
დედოფლისწყარო
ოსტალეთი
ოსეთი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიან

(1) 14. რისთვის *<u>არ გამოიყენება</u>* თეოდოლიტი?

ა) გეოდეზიური სამუშაოებისთვის;

ბ) ტოპოგრაფიული აგეგმვისათვის;

გ) გეოგრაფიული კოორდინატების დადგენისას;

დ) ქანების სტრუქტურის დადგენისას.

(1) 15. რომელ ქვეყანაშია გადაღებული ფოტოები?

ა) ავსტრიაში;

ბ) საფრანგეთში;

გ) გერმანიაში;

დ) შვეიცარიაში.

(1) 16. აფრიკის რუკაზე რომელი ციფრით აღნიშნულ ადგილს შეესაბამება მოცემული კლიმატური დიაგრამა?



ა) 1

ბ) 2

გ) 3

დ) 4

(1) 17. ჩამოთვლილთაგან რომელ პასუხშია გეოქრონოლოგიური თანმიმდევრობით (უძველესიდან ახალგაზრდისკენ) დალაგებული გეოლოგიური შრეები (A,B,C) და ნასხლეტი D?



ა) A-B-C-D
ბ) C-B-A-D
გ) C-B-D-A
დ) C-D-B-A

(1) 18. რომელი დემოგრაფიული პირამიდა შეესაბამება კატარის მოსახლეობის სტრუქტურას?

ა)



ბ)



გ)



დ)



K - ათასი

(1) 19. ეკონომიკის სექტორებში დასაქმებულთა განაწილების კლარკ-ფიშერის მოდელის მიხედვით, რომელი ციფრით აღნიშნული გრაფიკი ასახავს მრეწველობაში დასაქმებულთა წილს?



ა) 1
ბ) 2
გ) 3
დ) 4

(1) 20. რა არის ნაჩვენები სატელიტურ ფოტოზე?



ა) ციკლონი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში;
ბ) ანტიციკლონი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში;
გ) ციკლონი სამხრეთ ნახევარსფეროში;
დ) ანტიციკლონი სამხრეთ ნახევარსფეროში.

(1) 21. რუკაზე ასახულია მოსახლეობისთვის გარკვეული რესურსის სავარაუდო დეფიციტის პროგნოზი 2050 წლისათვის. ჩამოთვლილთაგან რა ინფორმაციაა ასახული მოცემულ რუკაზე?



ა) წყლის რესურსებით უზრუნველყოფის დონე;

ბ) პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა;

გ) სურსათით უზრუნველყოფის დონე;

დ) სასკოლო განათლების ხელმისაწვდომობა.

(1) 22. რას ასახავს მოცემული რუკა?



ა) ინგლისური ენის ცოდნის დონეს;

ბ) ნარჩენების გადამუშავების დონეს;

გ) წერა-კითხვის ცოდნის დონეს;

დ) გარემოს დაბინძურების დონეს.

(1) 23. გააანალიზეთ ინფორმაცია და განსაზღვრეთ რომელი მტკიცებაა მართებული?



ა) ევროპაში ახალშობილთა დაახლოებით 30% გაერთიანებულ სამეფოში იბადება;

ბ) მსოფლიოში ახალშობილთა დაახლოებით 10% ჩინეთში იბადება;

გ) აზიაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი უფრო მაღალია, ვიდრე აფრიკაში;

დ) აზიაში უფრო ნაკლები ბავშვი იბადება, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში.

(1) 24. რას ასახავს დავალებაში მოცემული რუკა?

(2021 წ.)



ა) ფერტილურ ასაკში ქალის მიერ გაჩენილი ბავშვების რაოდენობას;

ბ) ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებელს;

გ) სხვაობას შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტებს შორის;

დ) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის კოეფიციენტის ზრდას.

(1) 25. 2024 წლის მიუნხენის უსაფრთხოების ყოველწლიური კონფერენციის დაწყებამდე, მსოფლიოს 11 უმსხვილესი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში ჩატარდა გამოკითხვა, რომლის მიზანიც იყო გაერკვიათ, თუ რას მიიჩნევდნენ მოქალაქეები საკუთარი ქვეყნისთვის უმთავრეს საფრთხედ. ქვემოთ მოყვანილია ოთხი საფრთხე, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოში დასახელდა პირველ ადგილზე. ჩამოთვლილთაგან რომელ სახელმწიფოში დასახელდა მთავარ საფრთხედ რუსეთი?



ა) საფრანგეთში;

ბ) გაერთიანებულ სამეფოში;

გ) გერმანიაში;

დ) ბრაზილიაში.

(1) 26. რის მიხედვითაა დაჯგუფებული სახელმწიფოები მოცემულ რუკაზე?



ა) ჩვილთა მოკვდაობის;

ბ) ქალებისთვის არსებული უსაფრთხო გარემოს;

გ) ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მოცულობის;

დ) მოსახლეობაში რელიგიურობის ხარისხის.

(1) 27. ჩამოთვლილთაგან რომელი სახელმწიფოს მოქალაქეები ხარჯავენ უფრო მეტ თანხას ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით?



ა) ჩინეთის;

ბ) აშშ-ის;

გ) გაერთიანებული სამეფოს;

დ) არაბთა გაერთიანებული საემიროების.

(1) 28. რომელი წერტილი მდებარეობს ჰიფსომეტრიულად უფრო მაღლა?



ა) A
ბ) B
გ) C
დ) D

(1) 29. რომელი მდინარის ვარდნაა *უფრო ნაკლები*?



ა) მდ. ჭალის;

ბ) მდ. ხევის;

გ) მდ. ბარულის;

დ) მდ. მარეთის.

(1) 30. დაახლოებით რა აზიმუტით მდებარეობს C წერტილიდან მდ. მარეთის სათავე?



ა) 30^0

ბ) 70^0

გ) 95^0

დ) 110^0

(1) 31. რუკაზე რომელ მონაკვეთს შეესაბამება მოცემული პროფილი?





ა) AB

ბ) CD

გ) EF

დ) GH

(2) 32. სოფელ მიხეთის სკოლის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს მდ. სოთაზე საბანაოდ წასვლა. საბანაო ადგილის შერჩევისას აზრი ორად გაიყო. მოსწავლეების ერთმა ნაწილმა A წერტილს მიანიჭა უპირატესობა, ხოლო მეორემ - B-ს. მოიყვანეთ ორი არგუმენტი, რის გამოც უპირატესობას A წერტილს მიანიჭებდით.



გადასვლა დავალების: II გვერდზე

რელიეფი

ძირითადი ჰორიზონტალები გავლებულია ყოველ 10 მეტრში

ა) ძირითადი ჰორიზონტალები
ბ) ძირითადი გამსხვილებული ჰორიზონტალები
გ) დამატებითი ჰორიზონტალები (ნახევრადჰორიზონტალები)
დ) ჰორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
ე) კალთის დახრის მაჩვენებლები (ბერგშტრიხები)



სიმაღლის ნიშნულები ა) ძირითადი ბ) ჩვეულებრივი



სიმაღლის ნიშნულები ორიენტირებით



ფლატე (ბექი) (16-ხრამის სიღრმე მ-ში)



ხრამები და ღარტაფები

მცენარეული საფარი და გრუნტი

წიწვოვანი ტყე

ფართოფოთლოვანი ტყე

შერეული ტყე

ხემცენარეების მახასიათებლები მ-ში: 20-საშუალო სიმაღლე, 0.20-მერქნის საშულო სისქე, 6-ხეებს შორის საშუალო მანძილი

ქვიშნარი

გაუვალი და ძნელადგასავლელი ჭაობები (0.7-ჭაობის სიღრმე მ-ში)

ადვილადგასავლელი ჭაობები

საგზაო ქსელი



გზატკეცილი
გაუმჯობესებული გრუნტის გზები გასწვრივი მცენარეული ნარგავებით

გრუნტის გზები

მინდვრის და ტყის გზები

დასახლებული პუნქტები



საცხოვრებელი და სხვა ტიპის ნაგებობები

გამორჩეულად ცეცხლგამძლე ნაგებობები

ცალკე მდგომი კარმიდამოები

ეკლესიები

გადასვლა დავალების: I გვერდზე

(1) 33. ახსენით, 1980-იანი წლებიდან რამ გამოიწვია ჩინეთში ხორცის მოხმარების ასეთი მკვეთრი ზრდა.



(1) 34. რომელი კულტურული მცენარისგან დამზადებული პროდუქციის წარმოებაა ასახული რუკაზე (ამ პროდუქციის რეკლამირება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც აკრძალულია).

წარმოების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით 2022 წელი



(2) 35. დიაგრამაზე ასახული ინფორმაციის მიხედვით, 2020 წელს 100 000 ადამიანზე გამოვლენილი კანის კიბოს დიაგნოზით ავსტრალია ლიდერობს. მეცნიერთა ვარაუდით, ყველაზე მეტად რა გეოგრაფიული ფაქტორი ახდენს გავლენას არსებულ სიტუაციაზე? პასუხი ახსენით.



(2) 36. განსაზღვრეთ ორი ძირითადი გეოგრაფიული ფაქტორი, რამაც ფოტოზე ასახული ჭაობის ეკოსისტემის წარმოქმნა განაპირობა. პასუხი ახსენით.



(4) 37. გააანალიზეთ რუკა და უპასუხეთ კითხვებს:



ქ. ბლანტაირი (შოტლანდია)



გადასვლა დავალების: II გვერდზე

(1) 37.1. რომელი მკვლევრის მოგზაურობების მარშრუტებია დატანილი რუკაზე?

ა) ვასკო და გამას;
ბ) დევიდ ლივინგსტონის;
გ) იბნ ბატუტას;
დ) მუნგო პარკის.

(1) 37.2. მკვლევრის მიერ აღმოჩენილ რომელ გეოგრაფიულ ობიექტს უწოდა მან თავისი ქვეყნის დედოფლის სახელი?

ა) ცენტრალურ აფრიკაში აღმოჩენილ ტბას;
ბ) სამხრეთ აფრიკაში აღმოჩენილ ქედს;
გ) დასავლეთ აფრიკის ნაპირებთან აღმოჩენილ კუნძულს;
დ) მდინარე ზამბეზზე აღმოჩენილ ჩანჩქერს.

(2) 37.3. აფრიკის რომელ რეგიონებში იმოგზაურა მკვლევარმა?

გადასვლა დავალების: I გვერდზე

(4) 38. გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებულია სახელმწიფო საზღვრების ურღვევობისა და ეროვნულ უმცირესობათა თვითგამორკვევის პრინციპი. პირველი უზრუნველყოფს სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას, მეორე კი სახელმწიფოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების კულტურული იდენტობის დაცვას. 2014 წელს შოტლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობებს შორის დაძაბული მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარება, შეკითხვით: „უნდა იყოს თუ არა შოტლანდია დამოუკიდებელი სახელმწიფო?“ (შედეგები მოცემულია დიაგრამა 1-ზე). ანალოგიური სურვილი გამოთქვა კატალონიის მთავრობამაც. 2014 წელს ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ რეფერენდუმის ჩატარების საკითხი არაკონსტიტუციურად ცნო, მიუხედევად ამისა, 2017 წელს კატალონიაში ჩატარდა რეფერენდუმი, შეკითხვით: „გსურთ თუ არა კატალონია გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო რესპუბლიკური მმართველობით?“ (შედეგები მოცემულია დიაგრამა 2-ზე).





(2) 38.1. მოიყვანეთ ორი არგუმენტი, რის გამოც შოტლანდიის რეფერენდუმი შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად.

(2) 38.2. მოიყვანეთ ორი არგუმენტი, რის გამოც კატალონიის რეფერენდუმი შეიძლება ჩაითვალოს არალეგიტიმურად.

(8) 39. თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ენერგო რესურსებით უზრუნველყოფაა. ენერგო რესურსების ბაზარზე ფასებისა და მიწოდების თვალსაზრისით არასტაბილური სიტუაცია ჩამოყალიბდა. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ 2022 და 2023 წლებში ევროპის კავშირის ბუნებრივი აირის ბაზარზე შექმნილ მდგომარეობაზე. გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



* ნორვეგიის მონაცემები 2022 წელს შედიოდა სხვა ქვეყნების მონაცემებში

გადასვლა დავალების: II გვერდზე

(1) **39.1.** B დიაგრამის მიხედვით, რამდენ პროცენტს შეადგენდა რუსეთიდან ბუნებრივი აირის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში 2022 წელს?

ა) 5%

ბ) 8%

გ) 13%

დ) 18%

(2) **39.2.** ბუნებრივი აირის რა სახით ტრანსპორტირების მონაცემებს ასახავს თითოეული დიაგრამა?

(1) **39.3.** რა მონაცემს გვიჩვენებს დიაგრამების თითოეულ სვეტზე დატანილი პროცენტული მაჩვენებლები?

(1) **39.4.** ახსენით, რამ განაპირობა 2023 წელს 2022 წელთან შედარებით რუსეთიდან ბუნებრივი აირის მიწოდების მკვეთრი შემცირება.

(1) **39.5.** 2022 წელს A დიაგრამის მიხედვით რომელი ორი სახელმწიფო იყო ევროკავშირისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების მხრივ ლიდერი?

(2) **39.6.** B დიაგრამაზე ნორვეგიის 2022 წლის მონაცემები შედიოდა სხვა ქვეყნების მონაცემთა ერთობლიობაში. დიაგრამის შედგენის პრინციპიდან გამომდინარე, რამდენ პროცენტზე ნაკლები იქნებოდა ნორვეგიის მაჩვენებელი 2022 წელს? პასუხი დაასაბუთეთ.

გადასვლა დავალების: I გვერდზე